ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3602890

ნომერი: AR1546337

თარიღი : 03.10.2017

გაცემის თარიღი : 11.10.2017

გაცნობის თარიღი : 11.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი 26 მაისის , (ნაკვეთი N30/60) / ქალაქი თბილისი , მოედანი 26 მაისის , (ნაკვეთი N30/53) / ქალაქი თბილისი , მოედანი 26 მაისის , (ნაკვეთი N30/59) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ აბულაძე პ/ნ 01008021793
- თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 56

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 03 ოქტომბრის AR1546337 განცხადება, რომელშიც ითხოვთ სამსახურის მიერ 2013 წლის 31 დეკემბრის №1043854 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას. პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან ქ. თბილისის მერის 2013 წლის 25 ნოემბრის N2660 განკარგულებაში დაფიქსირებულია N01.10.13.030.059, N01.10.13.030.053 და N01.10.13.030.060 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია ზემოხსენებული განკარგულების საფუძველზე, განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებით ცვლილება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისის მერის 2013 წლის 25 ნოემბრის N2660 განკარგულებაშიც. საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად უნდა წარმოადგინოთ ქალაქგეგმარებითი დასაბუთება მიწის ნაკვეთის შეცვლილი კონტურის გათვალისწინებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 03 ოქტომბრის AR1546337 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.